დანართი 1

დამტკიცებული: ბრ. 07/01-18; 30.04.2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
რეიტინგული სტუდენტების დაფინანსების

წესი

თბილისი
2024

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საბაკალავრო პროგრამის რეიტინგული სტუდენტის დაფინანსების წესებსა და პირობებს.

2. თითოეულ სკოლაში, თითოეულ ეტაპზე ყოველწლიურად შეიძლება გამოვლინდეს 3 (სამი) რეიტინგული სტუდენტი.

3. რეიტინგი გამოითვლება თითოეული სკოლის პროგრამებზე რიცხული სტუდენტების ერთობლივი მონაცემების შესაბამისად.

4. რეიტინგულად შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტი თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) სასწავლო ეტაპები ემთხვევა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლების სტანდარტულ ეტაპებს;

ბ) გავლილი აქვს შესაბამისი ეტაპის პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი;

გ) მიმდინარე ეტაპზე სტუდენტის მიერ მიღებული ნიშნების საშუალო შეწონილი (GPA) აღემატება 3.5-ს (კალკულაციაში არ გაითვალისწინება საანგარიშო სასწავლო წელს გავლილი წინა ან მომდევნო ეტაპის საგნები, ასევე ნიშნების საშუალო შეწონილის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება თავისუფალი კრედიტები);

ე) აკმაყოფილებს სამეცნიერო/სასკოლო აქტივობას, რაც გამოიხატება, შესაბამის სასწავლო წელს სასკოლო, ადგილობრივ ან საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მიღებით.

ვ) უკანასკნელი 1 სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტს არ აქვს შეფარდებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომა;

ზ) არ არის მოხსნილი გამოცდიდან ან/და არ აქვს განულებული გამოცდის შედეგები;

თ) არ არღვევს უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ საუნივერსიტეტო წესებს.

5. თუ სტუდენტი რეიტინგში:

ა) დაიკავებს I ადგილს, მოეხსნება სწავლების მომდევნო (სტანდარტული) ეტაპის გადასახადი შესაბამისი პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული წლიური კრედიტების ფარგლებში;

ბ) დაიკავებს II ადგილს, გაუნახევრდება სწავლების მომდევნო (სტანდარტული) ეტაპის გადასახადი შესაბამისი პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული წლიური კრედიტების ფარგლებში;

გ) დაიკავებს III ადგილს, მოეხსნება სწავლების მომდევნო (სტანდარტული) ეტაპის გადასახადის 30%-ის გადახდის ვალდებულება შესაბამისი პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული წლიური კრედიტების ფარგლებში;

6. რეიტინგული სტუდენტის მიერ შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებულ წლიურ კრედიტებზე მეტი საგნების არჩევის შემთხვევაში, არ იმოქმედებს რეიტინგული სტუდენტის დაფინანსება.

7. თუ დასაფინანსებელ აკადემიურ სასწავლო წელს რეიტინგული სტუდენტი არ აითვისებს დაფინანსების პირობით განსაზღვრულ კრედიტებს, დარჩენილ კრედიტებზე დაფინანსება არ გადადის მომდევნო სასწავლო წელზე;

8. გამონაკლისის სახით რეიტინგში მონაწილეობას იღებენ საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მივლინებული ის სტუდენტები, რომელთაც არა აქვთ აკადემიური დავალიანება.
9. თუ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მიღებულ სტუდენტთა სწავლის ეტაპები არ ემთხვევა სწვალების სტანდარტულ ეტაპს ან/და თუ უნივერსიტეტის მხრიდან ვერ მოხდება შესაბამისი ეტაპის პროგრამით გათვალისწინებული საგნების შეთავაზება, რეიტინგი დგინდება მიმდინარე ეტაპზე სტუდენტთა მიერ გავლილი საგნების, მათ შორის პარტნიორ უნივერსიტეტში მიღებული ნიშნების საშუალო შეწონილით (GPA);
10. სახელმწიფო გრანტის მფლობელი რეიტინგული სტუდენტის დაფინანსების დროს, დადგენილი წესის შესაბამისად, კალკულაცია ხდება სწავლის საფასურიდან, რომელიც რჩება სახელმწიფო გრანტის თანხის გამოკლების შედეგად.